

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 5 წლის ვადით, ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის (შემდგომში ინსტიტუტი) შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1. გამოთვლითი მეთოდების განყოფილების გამგე (1 საშტატო ერთეული);
2. გამოთვლითი მეთოდების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული);
3. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული);
4. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული).

I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაცია (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა სამეცნიერო კვლევითი ერთეულების მიხედვით, კონკურსანტის ანკეტა, კონკურსანტის განცხადება და სხვა) გამოქვეყნდება უნივერსიტეტისა (gtu.ge) და ინსტიტუტის (micm.edu.ge) ვებგვერდებზე. განცხადებების მიღება იწარმოებს 2020 წლის 20 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით, 10⁰⁰-დან 17⁰⁰ საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, გრ. ფერაძის ქ. #4, სტუ-ის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, ოთახი #201, საკონტაქტო პირი ნინო ბოკუჩავა, ტელ.: 595 65 80 27.
2. კონკურსი ჩატარდება 2020 წლის 27-28 ივლისს. კონკურსის პირველადი შედეგები შესაბამისი საკონკურსო კომისიის მიერ განთავსდება ინსტიტუტის თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე gtu.ge არაუგვიანეს 2020 წლის 28 ივლისისა.
3. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
4. განყოფილების გამგის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევ კონკურსანტ(ებ)თან გასაუბრება და კენჭისყრა ჩატარდება 2020 წლის 27-28 ივლისს. კენჭისყრის შედეგები სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოცხადდება კენჭისყრის დასრულებისთანავე, 28 ივლისს, გამოიკვრება ინსტიტუტში თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე micm.edu.ge. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები სამეცნიერო საბჭოში მიიღება 31 ივლისის ჩათვლით.
5. განყოფილების გამგის კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატურას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს.

II. საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ძირითადი პირობები:
 - ა) ინსტიტუტის განყოფილების გამგედ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს;

- ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- გ) უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- დ) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირადად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) უნდა წარმოადგინოს:
- ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები იხ. ინსტიტუტის ვებგვერდზე), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ასლი);
- ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- გ) სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები) დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;
- დ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის ან მისი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- ე) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);
- ვ) 2 ფოტოსურათი, 3X4.

I I I. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარდება “უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიაში, უნივერსიტეტის და ინსტიტუტის ვებგვერდებზე.
2. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
3. კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.